

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების განხორციელების თაობაზე

ქალაქი რუსთავი
წელი _____

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ----- სახით (შემდგომში - „ნებართვის გამცემი,“) და ----- (შემდგომში - „ნებართვის მფლობელი“), წარმოდგენილი ----- სახით, ერთად მოიხსენებინ როგორც, „მხარეები“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები და მხარეთა დეკლარაციული განცხადებები

1.1. ეს ხელშეკრულება დადებულია საქართველოში მოქმედი იმ საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებას, მათ შორის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ნიმუშის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 10 თებერვლის N218 დადგენილების შესაბამისად. ხელშეკრულების შემუშავებისას გამოყენებულია ამ სფეროს მარეგულირებელი ის საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებზეც მიერთებულია საქართველო.

1.2 ამ ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიზღუდოს ან გაუქმდეს მხარეთა ის უფლებამოსილებები, რაც მათ მინიჭებული აქვთ კანონის საფუძველზე.

1.3 ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, როგორც ისინი განმარტებულია „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ნიმუშის, უწყებრივი სანებართვო

რეესტრის (ჟურნალის) ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 10 თებერვლის N218 დადგენილებით.

1.4 ხელშეკრულების დადებამდე ნებართვის მფლობელი გაეცნო საქართველოში მოქმედ კანონმდებლობის ყველა იმ ნორმატიულ აქტს, რომლებიც არეგულირებს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებას, მათ შორის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს და „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისათვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ნიმუშის, უწყებრივი სანებართვო რეესტრის (ჟურნალის) ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 10 თებერვლის N218 დადგენილებას.

1.5 მხარეები ადასტურებენ, რომ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირების უფლებამოსილებები დადასტურებულია სათანადოდ.

1.6 აცნობიერებენ რა მხარეები, რომ ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა წარმოადგენს სანებართვო საქმიანობას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის მხარეთა უფლება-მოვალეობებს, მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით და კანონქვემდებარე აქტებით. ამასთან, გამოთქვამენ რა მზადყოფნას, ნებართვის მთელი ვადის განმავლობაში დაიცვან და იმოქმედონ დროის შესაბამის მონაკვეთში მოქმედი საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, სურთ რა მხარეებს ამ ხელშეკრულების დადება ზოგიერთი საკითხის დაზუსტების და დეტალიზაციის მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლის 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ნებართვის მფლობელის მიერ #_____ ლოტზე რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (შემდგომში - „მომსახურება“) განხორციელებისას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მხარეებისთვის განსაზღვრული ზოგიერთი უფლება-მოვალეობის დამატებითი რეგულირება მათი დაზუსტებისა და დეტალიზაციის მიზნით.

2.2. ნებართვის მფლობელი იღებს ვალდებულებას, რომ #_____ ლოტით გათვალისწინებულ მარშრუტებზე მომსახურებას განხორციელებს კონკურსში გამარჯვებიდან არანაკლებ ექვსი თვის ვადაში, სადაც ავტობუსების რაოდენობა ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში არ იქნება 9-ზე ნაკლები, აქედან ყოველდღიურად მომუშავე უნდა იყოს არანაკლებ 8 (რვა) ერთეულისა, ხოლო რეზერვად უნდა იყოს არანაკლებ 1 (ერთი) ერთეული.

2.3. ამ მუხლის 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადა, ნებართვის მფლობელის დასაბუთებული წინადადების საფუძველზე შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს ორი თვით მხოლოდ ნებართვის გამცემის მიერ წერილობითი თანხმობით.

მუხლი 3. ნებართვის გაცემის ფასი და მისი გადახდის პირობები

3.1. ნებართვის გაცემის ფასის განაკვეთი რუსთავი - თბილისის მარშრუტზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანაზე მოძრავი ავტობუსებისთვის განისაზღვრება 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3.2. ნებართვის გაცემის ფასი გამოიანგარიშება ყოველთვიურად მთლიანი ლოტისთვის განსაზღვრული მარშრუტებისთვის დადგენილი ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობის გადამრავლებით ნებართვის გაცემის ფასის განაკვეთზე;

3.3. ნებართვის გაცემის ფასი გადაიხდევენება ყოველთვიურად, მიმდინარე თვის 10 რიცხვამდე.

3.4. მარშრუტებზე დადგენილი ავტობუსების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში შემცირებული ფასი იხდება ცვლილების განხორციელების მომდევნო კალენდარული თვიდან.

3.5. მარშრუტებზე დადგენილი ავტობუსების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ახალი ფასი გადაიხდევენება ცვლილების განხორციელების თვეზეც სრულად, მიუხედავად ცვლილების კონკრეტული დღისა. ამასთან, სხვაობა ძველსა და ახალ ფასებს შორის გადაიხდება მომდევნო თვეში.

3.6. ნებართვის გაცემის ფასის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში ნებართვის მფლობელს დაეკისრება პირსაგამტებლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდეელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.

3.7. პირსაგამტებლო გადაიხდება ნებართვის გამცემის საბანკო დაწესებულებაში და მთლიანად ჩაირიცხება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე (ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი). საბანკო მომსახურების ხარჯებს იხდის ნებართვის მფლობელი.

3.8. ნებართვის ფასი იხდება სრულად, იმის მიუხედავად საანგარიშო თვის განმავლობაში ფაქტობრივად განხორციელა თუ არა მომსახურება ნებართვის მფლობელმა.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები მომსახურებაში ცვლილებების შემთხვევაში

4.1. ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის მფლობელს აცნობოს მინიმუმ 2 კვირით ადრე მარშრუტების მოსალოდნელი ცვლილების (სამარშრუტო სქემის შეცვლა, მარშრუტის დამატება, მარშრუტზე ავტობუსების რაოდენობის შეცვლა) თაობაზე.

4.2. მომსახურების განხორციელებისთვის დამატებული თითოეული ახალი ავტობუსი უნდა შეესაბამებოდეს ნებართვის მფლობელის იმ ავტობუსის ტექნიკურ მონაცემებს, რომელსაც კონკურსის ჩატარების დროს კომისიის მიერ მიენიჭა ტექმონაცემის შეფასების ყველაზე მაღალი ქულა და უნდა იყოს არაუმეტეს იმ ხნოვანების, როგორც იყო შესადარებელი ავტობუსი კონკურსის ჩატარების დღისათვის.

მუხლი 5. შეღავათით მოსარგებლე მგზავრის გადაყვანა

5.1. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია ნებართვის გამცემისგან მოითხოვოს ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი შეღავათით მოსარგებლე მგზავრების გადაყვანისთვის ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი კომპენსაციის გადახდა და ამ მიზნით ვალდებულია თვის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა, ნებართვის გამცემს მიაწოდოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია შეღავათით მოსარგებლე გადაყვანილი მგზავრის რაოდენობის შესახებ.

5.2. ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის მფლობელს გადაუხადოს მოცემულ მუხლში მოხსენიებული კომპენსაცია შეტყობინების მიღების დღიდან 10 დღის ვადაში ნებართვის

მფლობელის მიერ წინასწარ წერილობით მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

მუხლი 6. ნებართვის მფლობელის მიერ საკონკურსო (სანებართვო) პირობების შესრულების დადასტურება ნებართვის გამცემის მიერ

6.1. ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია ნებართვის გამცემს მოსთხოვოს საკონკურსო (სანებართვო) პირობების შესრულების წერილობითი დადასტურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარუდგენს მას შესაბამის ინფორმაციას (დოკუმენტაციას).

6.2. ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის მფლობელის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში დაადასტუროს ან უარყოს ნებართვის მფლობელის მიერ საკონკურსო (სანებართვო) პირობების შესრულება.

მუხლი 7. ნებართვის მფლობელის ვალდებულებები

7.1. ნებართვის მფლობელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობები:

7.1.1. ნებართვის მოქმედების მთელ ვადაში უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დადგენილი მარშრუტებით და მოცემული ხელშეკრულებით დადგენილი რაოდენობის ავტობუსებით;

7.1.2. ნებართვის გამცემის მიერ მარშრუტის შეცვლის შემთხვევაში, თუ ეს არ იწვევს მოცემული ხელშეკრულებით დადგენილი ავტობუსების საერთო რაოდენობის გაზრდას, ცვლილების შესახებ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის ძალაში შესვლის დღიდან უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება შეცვლილი მარშრუტების შესაბამისად, ხოლო თუ მარშრუტის ცვლილება იწვევს მოცემული ხელშეკრულებით დადგენილი ავტობუსების რაოდენობის გაზრდას, მომსახურების განხორციელება უზრუნველყოს მარშრუტის ცვლილების შესახებ მიღებული აქტის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. ამასთან, ნებართვის მფლობელი ვალდებულია მარშრუტზე გაიყვანოს ავტობუსების ის ოდენობა, რაც საჭიროა ახალ მარშრუტზე მგზავრთა გადაყვანას მათთვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრების გარეშე;

7.1.3. მარშრუტების შეცვლის გარეშე მოცემული ხელშეკრულებით დადგენილი ავტობუსების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში, მომსახურების განხორციელება უზრუნველყოს ცვლილების შესახებ გამოცემული აქტის ძალაში შესვლიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში;

7.1.4. ხელშეკრულების გაფორმების დღიდან მომსახურების განხორციელება დაიწყოს და ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში განაგრძოს მხოლოდ მისი საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული ტექნიკური მონაცემების ავტობუსებით. ამასთან, ნებართვის მფლობელი უფლებამოსილია საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით, აუცილებლობის შემთხვევაში, შეცვალოს ავტობუსი დადგენილებით განსაზღვრული ავტობუსის ტექნიკური მონაცემების შეუცვლელად და ეს ცვლილებები დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გამცემს;

7.1.5. მომსახურების განხორციელებისას ავტობუსების შენახვა–ექსპლუატაციის წესების, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი სპეციალური საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების დაცვა;

7.1.6. უზრუნველყოს ხაზზე გაშვებული თითოეული ავტობუსის ტექნიკური გამართულობა და ნორმალური სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობა, მათ შორის ავტობუსის სალონის ვენტილაცია/ კონდიციონერა და/ან გათბობა;

- 7.1.7. ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ხაზზე ავტობუსის სამუშაოდ გაშვებისთვის საჭირო პროცედურების შესასრულებლად, სათანადო დოკუმენტაციის გასაცემად და წინასარეისო ტექნიკური დათვალიერებისა და მომსახურების ჩასატარებლად სარგებლობაში იქონიოს მინიმუმ ერთი საავტობუსე პარკი;
- 7.1.8. დაიცვას მგზავრთა გადაყვანის და ბარგის გადაზიდვისთვის საქართველოს საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები;
- 7.1.9. უზრუნველყოს მომსახურების განმახორციელებელი ყველა მძღოლის პირადი ჰიგიენის და ჩაცმულობის შესაბამისობა ნორმებთან;
- 7.1.10. აანაზღაუროს მომსახურებისას მგზავრისთვის მიყენებული ზიანი გარდა იმ შემთხვევისა, როცა ზიანი გამოწვეულია მგზავრის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით;
- 7.1.11. უზრუნველყოს მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების აღჭურვა დადგენილი ნიმუშების სვლაგეზის მაჩვენებელი ფირნიშებით (ელექტრო-ტაბლოებით), მგზავრობის ფასის გადახდის თანამედროვე სალარო აპარატით, ავტობუსში მგზავრისთვის თვალსაჩინო ადგილას განათავსოს ტაბლო, სადაც აღნიშნული იქნება მძღოლის სახელი, გვარი, ფოტო-სურათი, ნებართვის მფლობელის დასახელება, ცხელი ხაზის სატელეფონო ნომრები და მგზავრობის ფასი;
- 7.1.12. აწარმოოს ავტობუსების მუშაობის მაჩვენებელი პარამეტრების ყოველდღიური აღრიცხვა-ანალიზი და რეგულირება;
- 7.1.13. უზრუნველყოს მარშრუტის მუშაობის დაწყება-დამთავრების დროისა და ინტერვალის დაცვა;
- 7.1.14. დაიცვას საწყის და ბოლო გაჩერებებზე ავტობუსების დგომის წესები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, ნებართვის გამცემთან შეთანხმებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით განათავსოს მძღოლთა დასვენების, კვებისა და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის პუნქტები;
- 7.1.15. არ დაუშვას ავტოსატრანსპორტო საშუალების დამამზადებლის მიერ დადგენილ მგზავრტევადობაზე მეტი მგზავრის გადაყვანა;
- 7.1.16. გასწიოს მომსახურება დადგენილი ტარიფის (თუ რეგულირებადი ეკონომიკური სფეროა) ან მის მიერ განსაზღვრული მგზავრობის ფასის (თუ ეს არ არის რეგულირებადი ეკონომიკური სფერო) შესაბამისად;
- 7.1.17. შეასრულოს საკონკურსო პირობებით აღებული ვალდებულება, კერძოდ, შეინარჩუნოს ხელშეკრულების გაფორმებისას საბაზრო პირობებით განსაზღვრულ ლოტზე მგზავრთა გადაყვანის ფასი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მგზავრობის ღირებულების შეცვლა განპირობებულია ფასზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვლილებით. მგზავრობის ფასის ცვლილება უნდა განხორციელდეს ნებართვის გამცემთან შეთანხმების საფუძველზე;
- 7.1.18. აწარმოოს მგზავრთა საჩივრების აღრიცხვა, მოაწყოს ცხელი ხაზი;
- 7.1.19. გადაიხადოს ნებართვის გაცემის ფასი;
- 7.1.20. მძღოლების ან სხვა ტექნიკური პერსონალის გაფიცვის, ადმინისტრაციის ლოკაუტის შემთხვევაში არ დაუშვას მომსახურების სრული შეწყვეტა შესაბამის მარშრუტზე 1 (ერთი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს. ამასთან, ნებართვის გამცემს, გონივრულ ვადაში, წინასწარ წერილობით ატყობინებს მოსალოდნელი გაფიცვის ან ლოკაუტის თაობაზე;
- 7.1.21. მოთხოვნა ნებართვის გაუქმების შესახებ/ხელშეკრულების ვადაზე ადრე მომლის შესახებ ნებართვის გამცემს წარუდგინოს მინიმუმ 12 კვირით ადრე;

7.1.22. არ დაუშვას ნებართვის რაიმე ფორმით სხვა პირზე გადაცემა, თუკი არ არსებობს ნებართვის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობა მის მიერ დადგენილი დამატებითი პირობებით ან უამისოდ.

7.1.23. ყველანაირად შეუწყოს ხელი მუშაობაში უფლებამოსილ შემმოწმებელს: წარუდგინოს საჭირო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ აცნობოს ნებართვის გამცემს მის ქონებაზე ან ნებართვის მფლობელი იურიდიული პირის წილზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) წარმოშობის შესახებ, აგრეთვე ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ;

7.1.24. სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.1.25. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე მგზავრთა გადაყვანის განხორციელებისას მარშრუტზე მომუშავე ავტობუსების გაჩერება უზრუნველყოს მხოლოდ „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით რუსთავი-თბილისის მარშრუტზე ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №36-6 დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებული დანართი №2-ით განსაზღვრულ გაჩერებებზე;

7.1.26. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეინახოს ყველა ჩანაწერი, ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება მომსახურების განხორციელებას, ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ -საქართველოს ნორმატიული აქტებით დადგენილ ვადაში, მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების შეწყვეტიდან მომდევნო 5 კალენდარული წლის მანძილზე;

7.1.27. ნებართვის მოქმედების მთელი ვადის მანძილზე ნებართვის მფლობელი ვალდებულია მომსახურებისთვის განსაზღვრული ავტობუსები არ დააგირაოს ან არ გამოიყენოს უზრუნველყოფის საშუალებად სხვაგვარად, ნებართვის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა ნებართვის მფლობელის მიერ ავტობუსის დაგირავება ან უზრუნველყოფის საშუალებად სხვაგვარად გამოყენება ხდება მათი შეძენისას ან სარგებლობის უფლებით მიღებისას ნებართვის მფლობელის ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, რის შესახებაც ნებართვის მფლობელი ვალდებულია აცნობოს ნებართვის გამცემს;

7.1.28. ნებართვის მფლობელს უფლება არ აქვს ნებართვის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განკარგოს (გაასხვისოს, სარგებლობაში გადასცეს მესამე პირებს) მომსახურების განსახორციელებლად გამოყენებული ავტობუსები;

7.1.29. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის მიღებისთანავე და შემდგომში - პერიოდულად, ავტობუსის შეცვლის ან დამატების შემთხვევაში, ნებართვის გამცემს წარუდგინოს იმ ავტობუსთა ჩამონათვალი (მათი სარეგისტრაციო მონაცემების მითითებით) რომლითაც ის განახორციელებს მომსახურებას;

7.1.30. მომსახურება განახორციელოს ავტობუსისა და მესამე პირთა მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის უზრუნველყოფით.

მუხლი 8. ნებართვის მფლობელის უფლებები

- 8.1. დაკისრებული ვალდებულების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ნებართვის მფლობელს უფლება აქვს: გააფორმოს სათანადო ხელშეკრულებები გადამზიდავებთან (გადამხდელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან), რომლებიც დამოუკიდებლად აწარმოებენ ანგარიშსწორებას როგორც ნებართვის მფლობელთან, ასევე ბიუჯეტის სასარგებლოდ;
- 8.2. სამუშაოზე მუშაკთა მიღებისას დაიცვას პროფესიული შესატყვისობის მოთხოვნები;
- 8.3. ნებართვის მფლობელს აქვს უფლება შეცვალოს მგაზვრობის საფასური ნებართვის გამცემის წერილობითი თანხმობის შემდეგ;
- 8.4. ავტობუსზე რეკლამა განათავსოს კანონით დადგენილი წესით;
- 8.5. ნებართვის გამცემს წარუდგინოს წინადადებები ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის უკეთ ორგანიზების საკითხებზე.

მუხლი 9. ნებართვის გამცემის ვალდებულებები

- 9.1. ნებართვის გამცემი ვალდებულია:
 - 9.1.1. დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით გასცეს ნებართვა, შეიტანოს მასში ცვლილება ან გააუქმოს;
 - 9.1.2. აწარმოოს უწყებრივი რეესტრი;
 - 9.1.3. გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ;
 - 9.1.4. კანონით და დადგენილების შესაბამისად გააკონტროლოს ნებართვის მფლობელის მიერ სახელშეკრულებო და სანებართვო პირობების შესრულება და მიიღოს საჭირო ზომები;
 - 9.1.5. განსაზღვროს საჭირო ავტობუსების მინიმალური რაოდენობა, რომლითაც ნებართვის მფლობელს ექნება მომსახურების განხორციელების საშუალება ნებართვის მოქმედების მთელ ვადაში.

მუხლი 10. ნებართვის გამცემის უფლებები

- 10.1. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განახორციელოს ნებართვის მფლობელის მიერ საკონკურსო (სანებართვო) პირობების და საქართველოს ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების კონტროლი.

მუხლი 11. ნებართვის მფლობელის საქმიანობის კონტროლი

- 11.1. კონტროლის ხელშეწყობის მიზნით ნებართვის მფლობელი ვალდებულია მიაწოდოს ნებართვის გამცემს მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია. ასევე მისცეს მას საშუალება, განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული ყველა უფლება;
- 11.2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოცემული მუხლის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაცია თუ დოკუმენტაცია მიაწოდოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 1 კვირის ვადაში;
- 11.3. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით, ოფიციალურად უნდა ჩაბარდეს ნებართვის მფლობელს.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა საკონკურსო (სანებართვო) პირობების შეუსრულებლობისთვის

- 12.1. სანებართვო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის და ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

12.2. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განუსაზღვროს დამრღვევს გონივრული ვადა სანებართვო პირობების შესრულებისთვის (გამოსწორებისთვის) და დაადგინოს ის პირობები, რომელთა დაცვაც აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელებისთვის;

12.3. სანებართვო პირობების გონივრულ ვადაში გამოუსწორებლობის შემთხვევაში სანებართვო პირობის შეუსრულებლობისას დაკისრებული ჯარიმა სამმაგდება. ნებართვის მფლობელს განესაზღვრება ვადა სანებართვო პირობების დაკმაყოფილებისთვის. ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ ნებართვის მფლობელმა არ დააკმაყოფილა სანებართვო პირობები, დაკისრებული ჯარიმა კიდევ სამმაგდება. ნებართვის გაცემის ფასის გადაუხდელობისას ან არასრულად გადახდის შემთხვევაში ნებართვის მფლობელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით;

12.4. თუ ამ მუხლის 12.1., 12.2. და 12.3. პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად ნებართვის მფლობელის მიერ არ შესრულდება სანებართვო პირობები, ნებართვის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ნებართვის გაუქმებისა და წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ნებართვის მფლობელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;

12.5. ნებართვის მფლობელის მიერ მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის, პირგასამტეხლოს ან ჯარიმის ანაზღაურების გადახდევინების მიზნით ნებართვის გამცემს აქვს უფლება მიმართოს გარანტიის გამცემს;

მუხლი 13. საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების საბანკო გარანტია

13.1. ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოდგენილი საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების საბანკო გარანტია წარმოადგენს აღნიშნული ხელშეკრულებისა და საკონკურსო პირობებით წარდგენილი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ნებართვის მოქმედების ვადას ერთი თვით.

13.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებისას ან ვადაზე ადრე შეწყვეტისას, თუ ნებართვის მფლობელს („პრინციპალი“) ნებართვის გამცემის („ბენეფიციარი“) მიმართ აქვს შეუსრულებელი ვალდებულება, მისი შესრულება ნებართვის გამცემს („ბენეფიციარს“) შეუძლია მოსთხოვოს გარანტიის („გარანტს“) გამცემს გაცემული გარანტიის თანხის ოდენობის ფარგლებში. თუ ასეთი შეუსრულებელი ვალდებულება არ არსებობს, საბანკო გარანტია სრულად უბრუნდება ნებართვის მფლობელს („პრინციპალს“).

13.3. მოცემული ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ყოველი 1 წლის შემდეგ საკონკურსო და სახელშეკრულებო ვალდებულებების საბანკო გარანტია მცირდება ხელშეკრულების მოქმედების ყოველ მომდევნო ერთ წელიწადში თავდაპირველად წარმოდგენილი საბანკო გარანტიის 10%-ის ოდენობით, ნებართვის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს საბანკო გარანტიის მოქმედების უწყვეტობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებართვის გამცემი იტოვებს უფლებამოსილებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის თარიღიდან (მოცემულ ხელშეკრულებაში მოყვანილი თარიღი ზედა მარჯვენა კუთხეში) და მოქმედებს 10 კალენდარული წლის განმავლობაში;

მუხლი 15. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

15.1. მხარეებს აქვთ უფლება ურთიერთშეთანხმებით მოცემულ ხელშეკრულებაში შეიტანონ ცვლილებები იმ პირობით, რომ აღნიშნული ცვლილებები წინააღმდეგობაში არ შევა საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ან საკრებულოს იმ გადაწყვეტილებებთან, რომელთა საფუძველზეც გაფორმდა აღნიშნული ხელშეკრულება;

15.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები ფორმდება წერილობით. შეთანხმებები წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

მუხლი 16. ხელშეკრულების ვადამდე მოშლა

16.1. ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს შემდეგი საფუძველებით:

16.1.1. შესაბამისი დადგენილებისა და მოცემული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით ნებართვის მფლობელის მოთხოვნით;

16.1.2. შესაბამისი დადგენილებისა და მოცემული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით ნებართვის გამცემის მოთხოვნით;

16.1.3. ნებართვის მფლობელის გარდაცვალების (ლიკვიდაციის), დადგენილი წესით პირის გარდაცვლილად ან უგზო-უკლოდ დაკარგულად აღიარების ან მხარდამჭერის მიძღვრად მისი ცნობის შემთხვევაში (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა);

16.1.4. ნებართვის მფლობელის მიერ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან ხელმოწერილი ხელშეკრულების ან/და სანებართვო პირობების ორი ან მეტი პირობის ერთდროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

16.1.5. საქმიანობის უფლების ჩამორთმევის თაობაზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

16.1.6. ნებართვის გამცემის თანხმობის გარეშე ნებართვის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში;

16.1.7. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.2. ამ მუხლის 16.1 პუნქტის „16.1.2, 16.1.3, 16.1.4 და 16.1.5 ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებებისას ნებართვის გაუქმების შემთხვევაში, ნებართვის მფლობელს წარმოდგენილი საკონკურსო პირობების შესრულების ან სანებართვო პირობების შესრულების საბანკო გარანტია უკან არ უბრუნდება და ნებართვის გამცემი უფლებამოსილია გარანტისაგან მოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

16.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა იწვევს შესაბამისი ნებართვის ვადაზე ადრე გაუქმებას;

16.4. ხელშეკრულების/ნებართვის გაუქმება ფორმდება მისი გამცემის მიერ და ეცნობება ნებართვის მფლობელს;

16.5. ხელშეკრულების / ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი დღის ვადაში სანებართვო მოწმობა ნებართვის გამცემს უბრუნდება უკან. დადგენილ ვადაში მოწმობის ჩაუბარებლობის გამო მისი მფლობელი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნებართვის გაუქმების მიუხედავად აგრძელებს უნებართვო საქმიანობას;

16.6. ხელშეკრულების / ნებართვის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

მუხლი 17. დავათა გადაწყვეტა

17.1. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში იგი უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის უშუალო მოლაპარაკების გზით.

17.2. თუ დავის არსებობის შემთხვევაში მხარეთა მიერ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება, ან თუ ერთ-ერთი მხარე აშკარად თავს არიდებს შესათანხმებელ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

მუხლი 18. ფორს-მაჟორი

18.1. მხარეები არ არიან ვალდებული საკუთარი ვალდებულებები სრულად ან ნაწილობრივ შეასრულონ, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, რომელზეც შესაბამისი მხარე ზემოქმედებას ვერ ახდენს და ასეთი გარემოებები უშუალოდ მოქმედებს ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს იმ დროით, რაც საჭიროა ხელშემშლელი გარემოების აღმოსაფხვრელად ან დასასრულებლად. მხარე, რომელსაც შეექმნა დაუძლეველი ძალის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს;

18.2. ფორს-მაჟორის ან სხვა შემთხვევაში (მარშრუტზე საგზაო მოძრაობის პირობების გაუარესება, მგზავრთა ნაკადის მნიშვნელოვანი შემცირება ან გაზრდა და ა.შ.), როცა შეუძლებელია მარშრუტის დაცვა, ნებართვის გამცემის თანხმობით და მის მიერ დადგენილი სქემით შესაძლებელია დროებით შეცვალოს მუშაობის რეჟიმი (თანხმობა მარშრუტის დროებით შეცვლაზე, ავტობუსების ოდენობის დროებით შეცვლაზე და სხვა), მოძრაობის განრიგი ან გზის გარკვეულ მონაკვეთზე შეიცვალოს დადგენილი მარშრუტი;

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

19.1. ხელშეკრულების ერთი რომელიმე მუხლის ბათილობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას ან ძალადაკარგულად გამოცხადებას;

19.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 იდენტურ ეგზემპლიარად, რომელთაგან 2 ეგზემპლიარი ინახება ნებართვის გამცემთან, ხოლო 1 ეგზემპლიარი გადაეცემა ნებართვის მფლობელს;

19.3. ურთიერთობები, რომელიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 20. მხარეთა რეკვიზიტები:

20.1. მხარეები მოვალენი არიან აცნობონ ერთმანეთს რეკვიზიტებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალაში რჩება ის რეკვიზიტი, რომელიც დადასტურებულია ხელშეკრულებით ან შესაბამისი უკანასკნელი შეტყობინებით;

ნებართვის გამცემი	ნებართვის მფლობელი
--------------------------	---------------------------

--	--